

572
1382




ԵՆԵՐՈՒԹՅՈՒՆ

მთავრობის მითითების კვირეული

საბჭოთა კავშირი—60



ყაზახეთის სსრ



ურალიდან ალათაუსა და ტიან-შანის მაღალ მწვერვლებამდე, ციმბირის ტყეებიდან ყარაყუმის უდაბნომდეა გადაჭიმული ყაზახეთი. აქ მეგობრული ოჯახად ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ხალხები. ყაზახეთი ხომ ყამირის უხვი თაველია, პამიკონურის კოსმოდრომია, თვალწვდენელი საძოვრებია, მაღალგანვითარებული ინდუსტრიაა. ყაზახეთის მიწიდან იღებენ ნავთობს, გაზს, ქვანახშირს, სპილენძს, ოქროს...

ყაზახეთის სტეპებში იზრდება ბამბა, ხორბალი, ბრინჯი, სეღი და სხვ. სულ მოკლე დროში, 1954 წლიდან დღემდე, ყაზახეთში ათვისებულია 20 მილიონი

ჰექტარი ყამირი მიწა. ყაზახეთში მრავლად არის აქლემის, ცხენის, ცხვრის ფერმები. აქვეა რამდენიმე ნაკრძალი, სადაც იშვიათი ფრინველები და ცხოველებია დაცული.

ამ საოცარ მიწას ამშვენებენ და არწყულებენ სახელგანთქმული სირ-დარია, ლეგენდარული მდინარე ურალი, ადამიანის ხელით შექმნილი არხი — ირტიშ-ყარაგანდა.

არნახულ სიმაღლემდე აიყვანა ყაზახეთი დიდმა ოქტომბერმა. რევოლუციამდე ყაზახეთში ასი კაციდან მხოლოდ ორმა თუ იცოდა წერა-კითხვა, დღეს კი აქ მთელი მოსახლეობა წერა-კითხვის მცოდნეა. ბიბლიოთეკები, კლუბები,

მუზეუმები, თეატრები, პიონერთა სასახლეები, წორჩ ნატურალისტთა და ტექნიკოსთა სადგურები — ყოველივე ეს ახალმა ცხოვრებამ მოუტანა ყაზახეთს.

ყაზახეთის ლიტერატურა სათავეს იღებს უმდიდრესი ფოლკლორიდან. ხალხური სიმღერები და ზღაპრები უმდიდრესი საშობლო დამცველ რაინდებს ყოველი მოსწავლე იცნობს ხალხური ზღაპრების საყვარელ გამირს — ალდარკოსს.

შორეულ ყაზახეთში იცნობენ საქართველოს. ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ ითარგმნა ჩვენი სახელოვანი პოეტის იოსებ ნონე-შვილის ყამირისადმი მიძღვნილი ლექსები. გამოცემულია ნოდარ დუმბაძის, გრიგოლ აბაშიძის ნიგებები.

მავობროვის

ოთან—სამშობლო.
ანა—დედა.
მეკტუბ—სკოლა.
მუგალიმ—მასწავლებელი.

ლაქსიკონი

ოქტიაბრიატ—ოქტომბრელი.
კაბირდი კუნ—დილა მშვიდობისა.
ღოს—მეგობარი.
ბეიბიტმულიკ—მშვიდობა.

მუხარამ ალიშაბაძე

ალათაუ¹⁾

მარადიულ შხის კბილას
ჩვენ დიდი ალათაუ,
ჩანჩქერების გუჯდ მღერის,
აწ იძინებს ალათაუ,
ანაღ სოფლებს მკერდში იკრავს
თფითან შველი ალათაუ,
კალთებს ნადირი უმშვენებს—
შვილებს უკლის ალათაუ,
დამით მთვარესთან ჩურჩულებს
ჩვენი ბრძენი ალათაუ,
მშობლებურა უახახეთა,
მხარს უიმშვენებს ალათაუ.

¹⁾ ალათაუ—მთის მასიფი უახახეთში



ყავახური ანდაჯევი

მშობლიური მიწა დღისითაც
თბილია და ღამითაც.

მიწას მოსავალი ამშვენებს,
აღამიანს—ცოდნა!

მ. მარამიძის მიერ
საქართველოს
6. სკოლისთვის
გამოცემულია

17104



ინფორმაციები

მეორე ბ კლასს სკოლაში კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მართლაც ამ კლასში ყველანი მეგობრობდნენ — ერთმანეთს ეხმარებოდნენ, კინოში ხშირად ერთად დადიოდნენ, ახლომახლო მთებშიც ჯგუფურად უყვარდათ სიარული.

მხოლოდ ერთი ადამიანი — მიშა ტკაჩოვი იყო მეორე ბ-ში განმარტებული.

იგი ნადია გოლოვანოვას გვერდით იჯდა, მაგრამ ასეთ ჯდომას მარტო მჯდარიყო, ჯობდა, — ნადია ზედაც არ უყურებდა, თითქმის არ არსებობდა მიშა, თუმცა, რალა ნადია — მთელი კლასი ასე იქცეოდა. რატომ? რატომ და მარკების ბრალი იყო ყველაფერი.

მიშას მარკების მშვენიერი კოლექცია ჰქონდა.

ერთხელ მასწავლებელმა ბავშვებს მიმართა:

— ხელ მეხუთე გაკვეთილზე ვილაპარაკოთ, ვინ რითი არის გატაცებული, ვის რა

აინტერესებს, აბა თქვენ იცით, კარგად მოემზადეთ!

მეორე დღეს კლასში დილიდანვე იმაზე იყო ლაპარაკი, ვინ რას მოუყვებოდა მასწავლებელს.

პეტრე კულეშოვმა კლასში თავისი ხელით გაკეთებული თვითმფრინავის მოდელი მოიტანა, ნადია გოლოვანოვა გოგოების ნაქსოვ ქუდსა და თავმალს ათვალთვებდა. კლავა პეტროვას ნაძვის გირჩებისგან დამზადებული საოცარი სათამაშოები მოეტანა, სლავკა ივანოვს კი — ნამდვილი მხატვარივით აკვარელის საღებავებით შესრულებული ნახატები.

როცა მიშას ჯერი დადგა, მან ჩანთიდან დიდი ყავისფერი ალბომი ამოიღო. ბავშვები მერხებიდან წამოცვივდნენ.

— აი, ეს მესმის! — წამოიყვირა გოცებულმა სლავკა ივანოვმა და ყავისფერი ალბომს მიეტანა.

— ხელი არ ახლო! — მიშამ სწრაფად უკან დასწია ალბომი, — არ შეიძლება! ეს ძალიან ძვირფასი მარკებია!

— ნადით, შენ და შენი მარკები! — ჩაიბუზღუნა განანყენებულმა სლავკამ. ბავშვები უმალ გაეცალნენ მიშას მერსს.

ის დღე იყო და ის დღე მას შემდეგ მიშას სიცოცხლე, სიცოცხლეს აღარ ჰგავდა.

— ბავშვებო, დღეს გაკვეთილების შემდეგ სლავკა ივანოვი უნდა მოვიწახულოთ, ავადაა, — გამოაცხადა ერთხელ მასწავლებელმა.

დაირეკა თუ არა ზარი, მიშა ადგილს მონყდა, ქუჩაში გავარდა და სახლისაკენ მოკურცხლა. ოთახში შეიჭრა, თაროდან ის ალბომი გადმოიღო, ამოიღო ყველაზე საყვარელი მარკა „ინფორმაციები“, ქაღალდში გაახვიდა და სლავკა კულეშოვის სახლისაკენ გაიქცა.

ბავშვებს მისვლა მიეცნოთ. მიშა შევიდა ოთახში, შეკერა სლავკას გაუნოდა.

— გამომართვი, მიჩუქნია.

სლავკამ გაშალა ქაღალდი და გახარებულმა წამოიყვირა:

— დედა, რა ლამაზია! არ გენანება?

— არა! სულაც არა!

მეორე დღეს ნადია გოლოვანოვამ შესვენებაზე დიდი, წითლად აბრიალებული ვაშლი ამოიღო და მიშას გაუნოდა. მიშამ ვაშლი ხელში შეათამაშა, მერე ხელი მოუჭირა, ვაშლი ორად გახლიჩა და ნახევარი ისევ ნადიას დაუბრუნა. ვაშლი ძალიან, ძალიან გემრიელი იყო.

სემბლანა ზალმია

ს ა ლ ი მ ი



ქებით ნაღდად საქებია
და შევეჭებ კიდევაც:
— აგრონომი გამოვლო,—
სალიმ-ბიჩი გვირდება.
ერთი ძირი ვაშლი უდგას,
მოვლა დიდი სჭირდება,
ათი ვაშლი გამოუხსამს
და ათივე მწიფდება...
ბიჩი ფიქრობს:
— დროა უკვე
ჩავატარო ცდებიო.
— სალიმ, სად ხარ!— ეძახიან.
— ვაშლებს ვაკვირდებიო!
მაგრამ დახეთ,
რაც დღე გადის,
მათი რიცხვი მცირდება,
ბოლო ვაშლიც თუ შექვამა,
რალას დაუკვირდება?



ბ უ მ ბ ე ნ ა

ხალხური თამაში

ყაზახი ბავშვების ეს ხალისიანი თამაში
აღბათ ყველას მოგეწონებათ. ერთ ბავშვს
„ბუდ“ აირჩევენ. ზის თავის „ბუდესი“ ეს
„ბუ“ გასუდრული, თითქოს სძინავს. ირ-
ველივე კი ბავშვები დახტიან და დარბიან —
ზოგი „ბაყაყა“, ზოგი „კვიცი“, ზოგი „ბო“,
ზოგი ბატკანივით პეტელობს. უცებ ერთი
დაიძახებს: „დალამდა“. ბუ თვალს გაახელს
და „ფრენას“ დაიწყებს. დანარჩენები, ვინ
როგორ პოზაშიც იყო, ისევე შემდებთან.
ვინც გაინძრევა ან გაიცინებს, ახლა ის იქნე-
ბა „ბუ“, და ასე გრძელდება თამაში.

ყაზახური მასალები თარგმნა ჯურჯაბ ლეონიძემ

მამუზი

მამუზი ნაძვზე შემოჯდა,
აბუღბუღლებს ყელს,
ჩუმად, ჩუმად, ბავშვებო,
ნუ შეუშლით ხელს.



მითხარი, ჩიტო

შენი ჭირიშე, ლამაზო,
ხმატბილო, ენაჭიქიკა,
ასეთი კარგი გაზრდილი
ვიცოდე, ნეტავ,
ვისი ხარ?
გულმხიარული დავგმელერი,
კაცი ვერ განახავს ნალვლიანს,
ავგრემც შენს დედას შერჩები,
მითხარი, ჩიტო,
რა გქვია?

მამირალა

დილიდან დაღამებამდე
გაყვირის როგორც
საყვირი,
— ფული მომეცი სარქაროდ,
უნდა ვიყიდო ნაყინი!
ხან მზესუნთხირას

გულისთვის
მინაზე გორავს ბელივით,
შგონია, თუ არ იყვია,
ეზოში ისე ვერ იღლის.
აკლებული აქვს ყროყინით
ზემო და ქვემო სართული,
არ ესმის შამის მუქარა,
არ ესმის დედის ქართული.
გუმინ გავივა:
სამხედვე
თურმე დაძებებს სახედარს,
ჯერ იქნებ გამოკასნორო,
ორ-სამ დღეს კიდევ
დაძებდა!



ტყვეს გადასახის
გუგულო,
ისმის ყიფივი
ბელურის,
ქარში გამოდით,
ჩიტებო,
ერთად ჩავაბათ
უფრხული!



ბაბაყი

რა ყოფილა ბაყაყი,
ბრიყვი,
ენატარტარა,
ყველა ერთად ყყინებს,
დიდიცა და
პატარაც,
პატარები
უფროსებს
არ აცდიან
ლაპარაკს!

ბალახების ჩივილი

დაგვიქვანა ლურჯი ქათბიბი
გვეცხელა, ბავშვებო, ძალიან,
ყოველდღე რწყავენ ბალ
ბოსტნებს,
ჩვენთვის კი არა სცალიათ
ვაიმე,
ველარ გაუძლებთ
პაპანაქებს გვალვიანს,
გვიშველეთ,
წყალი დაგვისხი,
ღმერთი არა გნამს,
ბამის!



დამთავრდა თუ არა სასწავლო წელი, მთელმა კლასმა ეზოში მოვიყარეთ თავი. ელაპარაკობდით, ვინ რას გააკეთებდა ზაფხულში. ზოგი რას ამბობდა, ზოგი — რას რეზომ თქვა:

— მოდი, ლია მასწავლებლებს წერილები მოეწეროს. ვინც სად იქნება, იქიდან მოვზეროთ, რა ენახეთ, რა შეგვემთხვა, დროს ასე და ასე გავაპატრონოთო.

ბავშვები აიცილებდნენ. სწორია! კარგია!

თქვს, ბავშვი დაუსვს და წავიდ-წამოვიდნენ. ვინ საით, ვინ საით. გია სოფელში გაემგზავრა. ჩავიდა თუ არა, არ დამაინტერესო, იმ დღესვე მავიდას მიუჯდა და ლია მასწავლებელს ასეთი წერილი მისწერა:

ჩემს სოფელს დიდზე დიდი მდინარე ჩვენი ძეგლია ჩაუღის. ბევრი გადავარჩინე იმ მდინარეში დაღრჩობას. ყველამ დიდი მადლობა მითხრა. ერთმა მკოცა კიდევაც, შერჩობ არა, ჩემი საქმე წასული იყო, — მიხიბრა. ჩემთვის ასეთი რამის გაკეთება სულ იოლი საქმეა-მეთქი, ვუთხარი.

სიმართლე რომ ვთქვა, ბარე ორმოცდაათი, არა, ასი კაცი გადავარჩინე. იქნებ მეტიც. მერე ყველამ ცურვა ისწავლა და გადარჩენა ალარაუის დასკირვება, თორემ შეშადა ვიყავი.

ერთზელ ქაიშიხალი ამოვარდა, ვხედავ, რკინიგზაზე ელექტრობითი წამოაქცია. დავაველ ხელი, ვეპარე, ვეპარე, ვთარიე, ვთარიე და გადავუშეი ხევი. ამასობაში მატარებელი მოამდგა, მატარებლიდან ხალხი გადმოვიცედა. დამეზვივნენ, მაქვს, მაღაღეს. ერთმა მისამართიე მთხოვა. მეორემ თავისი მისამართი გამომიწოდა, ერთი-ორმა საქუქარიეც კი მომეცა, როგორ გვეადრებათ, — გადავივინე; ასეთი საქმის გაკეთებას რა უნდა-მეთქი. — ვთქვი. ერთი ქალი მეხვეწებოდა: წამოდი ჩემთან, ზღვაზე, გავისვირნით, მერე კი უკან დაგაბრუნებო. მაღლობა მოვასტეე: ბებოს ხომ ვერ დატოვებდი, თანაც გაუფრთხილებოდა.

ერთზელ ვხედავ, მეზობლის სახლი არ იწესის, ევამში და ალბია გახვეული იქავრნობა. ამ სახლში ვილაე იქნება დარჩენილი-

გიან „გმირების“ ამბავი



მეთქი, ვთქვი გუნებაში და აგიზგიზებულ შემოვალე ვეწოთ თავი. იქით, აქეთ, წინ, უკან — სულ აღმოვლბული ვიყურები ცვიოდა. ერთი მხარზე დამეცა, სამი — თავზე. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, კატის მებტი სულიერი ვერ ვიპოვებ, ვტაცე იმ კატის ხელი და გარეთ გამოვვარდი. გარეთ სახლის პატრონი შემოვვებო. ხელში საზამთრო ეჭირა. ბაზრიდან მოვდივარო. საზამთრო გამომიწოდა: შენ ჩემგან მებტი საშუარეც გვეუთნისო. როგორ გვეადრებათ, ვუპასუხე, მე ასეთი რამის გაკეთება სულად არ შემიწლება-მეთქი, მის საზამთრო არ გამოვართვი.

მერე კიდევ ასეთი ამბავი შემემთხვა. ჩვენს მეზობელ მოხუც ქალს ქაში ვეფრო ჩავუვარდა. ბები, ნუ გეზინია აქა ვარ-მეთქი, ვუთხარი და ბანარს ქაში ჩავეცი. წყალი ყინული-ვიცი ცივი იყო. ვეფროს ხელით ვერ მივწვდი, ავებეცი და ჩავევინოე, ფსკერდან ვეფრო ამოვიღე. ქის კედლებს აქეთ-იქით ფეხები მივაბევიე და ვეფრო ამოვტანე. ის რა ბიჭი ყოფილაო! — შემეკო მოხუცმა, მე კი ვუთხარი: ამის გაკეთებას რა უნდა-მეთქი.

წერილში ბევრი სხვა „გმირობაც“ იყო ჩამოვთვლილი.

„ზაფხული დამთავრდა. სკოლაში მეცადინეობა დაიწყო. გაკვეთილებზე ლია მასწავლებელმა თქვა:

— ბევრი კარგი და საინტერესო წერილი მივღე. ნაგებობათ ზოგიერთს. „ააა, სადაცა ნაიკითხავს ჩემს წერილს, — უხაროდა გიას, — იქ ჩემი იმდენი გმირული საქციელია ჩამოთვლილი, გადაირკვიან ბავშვები“.

ღია მასწავლებელმა ბევრი წერილი ნაიკითხა. გიას წერილი კი არ წაუკითხავს.

„გასაგებია, — ფიქრობდა გია, — ჩემი წერილი ალბათ ვახვთში გადაგზავნა, ალბათ ფოტოსაც ვადამილებენ და ისე დაბეჭდავენ. დაბეჭდავენ, ნაიკითხავს მთელი ქვეყი ვიტყვი: ამის გაკეთებას რა უნდა-მეთქი“.

თქვეს როგორ ფიქრობთ ბავშვებო, რატომ არ ნაიკითხა მასწავლებელმა გიას წერილი?

ს. კალაჯიანის ხატვათი
გამოაქართულა წ. მ. რ. ბ. მ. მ. მ.

ა ს ო კ უ ს ფ უ ლ ა

პი შენი ეგება.
გვახარებ, შენო სწრაფად
მან მრავალი შენისთანა
კონხის წყაროს დაწაფა.

— ზალი გვეყვარს ნაოსის-
რეტელებიშნ მამ ისმის
— თუ გვეყვარს და აქ პარს,
გუნება როგორც შეპარს.

შემი ნაპირს შორებდა,
გვესმით, როგორ ხაზრობს!
ცოცხალი გოგონა-ბიჭები
მომყვას სამოცბაურად.

ლტვი წყაროს რომ მივედბი,
არავინადა ასეუ—
— ახლავს, ვისაც წრომა უყვარს
სოფლივებს ვახსენს!

ქიშვილი მომპროცებს,
მელოდება ბებიის,
ჩემი სთვლის მიხედობ-ველი,
როგორ მომხატრები!

შაშვი მოწადა ხის ტყეწროს,
თავდაშარბუფ გაბრის,
დატრიდა, დაბზრიდა, —
წინ დაუბნდა ხეობი.

ჭარი რყავს სახეყვარი:
ლია არის სკოლის პარი,
სურბულბებს ვერხვები:
— თქვენ გვლიან შეხებმ!

თიხის ვის უმწევი ნიას?
— ამ ჩემს ფიხუნის,
მოძიარავს ხუმბად ყველს,
ხაიკოკოზინბებს ველს.

იხე, იხე, ლურჯფარავ,
ასე აფრე მოხვები?
— გაპოზების სურბუქვა ვარ,
მინა წინამობინდი.



— ქაჯავ, სიხმარს, ენესლოდი,
მიხმარ, რა ნახე უკური?
— თითქოსდა ვირთხამ მომყვობდა
ჩემი ღამბი კვი.

— ლომი შეფა ცხოველთა,
მხრებზე დაპყროი ფაფარი,
ფლანს ტყეში აქვს ბუნბი
ჯალბის თავშესაფარი,
მხსანი მიწას დაუბრტყა,
ახალბაფ შოღის ნიხა,
წინას გოჭმა დასწრო და
სადორისყვს გაიჭახა.

ნახგალით ყანას შვიან და
თან დასხიხინა „ქადილას“,
ენბარტბინან უფროსებს
გია, ბუქი და თანვიდა.

მთაღის ბარტვი ვიპოვე,
მთელი დეუ უბით დატარე,
წვადი და პური მიკაოთი
კვი ნიავს არ მივფარებ.

ახელა-მომყვა გავაფრეს
ნახი და ნაიოფური,
ფეკრბე ისე ჩამოვდა,
როგორც ღამბი ფრია.

მირაფი გვას, ველს გასტყვის
ველი მოულოცებია,
გამაფრულბე შიხს ამოხელს
თელა ბოლუკებია.

რაკეტის მარბიხს რა უნდა?
— სომბამაც და ნიქი,
ჩიხები ხომ უნდა გაპრიხვს
რომ ქარველი ბიჭუც.



სახამბორს რომ მოიტანეს,
ედა ქრის და შამა ბუმიბობს:
— ამას სახამბორს კი არა
უნდა ერქვას სახამბორი!
ბორბოდა იწყებს გაღობას,
უსმინს ჩირგბის გუფლი,
კიდეც აქ მოხმარანბებულა
თავის ფუმფულა კუდი.

შაოს როცა ხელში ვიჭკრ,
ფიხის, თვალბს რატომ ნახბუქ?
— შიავ, შიავ, მეწმინია,
არ დაგწყვას ფორმის კაბა,
შიწვიანი ყვავილიანი

დელს შე ვუყვიფ ვერწას,
ფრხხეც მადლობაც არ მიხმარ,
ანც ახარტუენებს უურსა,
ქამარანი ვერხვით ნახველი

ხუთ ათეულ წელს ითვლის,
ბებრბო სახსოვრბად გადმომცა
სახის ნახთხი ნივით.

ღორს გოჭები მოპყვებიან,
ლურბა, ბუქბა, როკო, კოკო,
ხის ბუფის ქვეშ რკოს ეფებენ,
ხან სიხვადებენ ქამ სოკოს.

ქაყარი ვნახე შეათვდა
წითელი კაბა მთისა,
მის ფეხის გახმარბრბად
მოქმინდა ცოცხალი თმისა.

შინავილი დავაფოფე,
მლა კი ხალხის ვნამად,
— შენ თავს შენ უნდა მიხვეცი!
— მელ მასწავლი მამამ.



ჩაიდან ახსოვდება,
ორტკილი ფარბეს ფარბის მინებს,
— გაპქრბახე რომ წეშობდამბთ,
მერე მულარ დაირბნობ.

მგინი მიჭრის სახლდრისაკენ,
მიაკროვბს მიხვარს,
— მერე მესხბულტე მინდა გაუბე-
ფულბუნბი ეგება.

ქვა გვაგბი სიმბედა,
სიმბე მზის სხივი კრავებს,
სამშობლოს საღივბევი
სიმღერა ავარტრიდა.

წისქვილიშნ ბობბადს მოქვდავინ,
ქამოქთა ფეკრი ხვადებდა,
სხელი დავაშებს დავსკობბ,
ყველას რომ გავხარებდა.

— შამი ძოვარე ჩავარბნობდა,
ფრთხელბს ავირის ანცი ქარი,
— მართლა კი არ ჩავარბნობდა,
მთვარის ანარტვილი

ხახვის გელს ეგდა როცა
აიგანბე კრებბს,
ამბობს: — ხახვი ყველას არგებბ,
სატარებბს და ეღებბ.

ჯოხობთ გელს ჩემი შამა,
ომში ფეხი დაუქარბავს,
შემოკრებბს შევილიშვილებბს,
და უხამბობბს ომის ამბავბ.

ქამაქვი როცა ეჭანობს,
თიხს არ მინებბს გიტია,
ახა, ჩამოფი მანფედბ,
ახლა ხომ ჩემი როცა.





გადიგობ ჯულუსაჰი

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იყო ერთი სამეფო, სადაც ძალიან კეთილი და ლამაზი ადამიანები ცხოვრობდნენ, ყველას ერთმანეთი უყვარდა, ყველას ერთმანეთისა სჯეროდა, ერთად მუშაობდნენ და ისვენებდნენ. ვინმე რომ მოიწყენდა, დანარჩენებიც მოიწყენდნენ, ვინმე რომ გაიხარებდა, ყველა ხარობდა. ამ ლამაზ ქვეყანას ერთი საოცრებაც ჰქონდა: ადამიანები იზადებოდნენ და იზრდებოდნენ, მერე სულ დიდები იყვნენ და არასოდეს ბერდებოდნენ. სიკვდილი რა იყო, არავინ იცოდა. კიდევ კარგი, ყველანი უკვდავები იყვნენ, თორემ ერთიც რომ მომკვდარიყო, დანარჩენებიც დაიხოცებოდნენ.

ლამაზ ქვეყანას ლამაზი მეფე ჰყავდა. ლამაზ მეფეს — პატარა და, რა თქმა უნდა, ლამაზი უფლისწული. უფლისწული რომ წამოიზარდა, მეფეს ჰკითხა, ჩვენი ქვეყნის გარდა კიდევ სხვა ქვეყნები თუ არსებობსო.

არსებობსო, უთხრა მეფემ. მაშინ უნდა წავიდე და ვნახოო, თქვა უფლისწულმა.

დიდხანს ემუდარა მეფე, ნუ წახვალ სხვა ქვეყნის სანახავადო, მაგრამ ვერაფერს გახდა. რადღას იზამდა, გამგზავრების წინ ჯადოსნური სარკე მისცა.

— ნაღი, შვილო, რაკი შენსას არ იშლი, ეს სარკე მაინც წაილე თან, ვინ იცის, რა შეგე-

მისხვევა. ყველა ქვეყანაში შეცდებიან იქაურ ხალხს დაგამგვანონ, მაგრამ შენ არ დაგვიწყდეს, რომ სილამაზის ქვეყნიდან ხარ. თუ გაგიჭირდა, ამ სარკეში ჩაიხედე — ჩვენი ხალხის სარკეა, ყველა მახინჯსა და ბოროტს სილამაზესა და სიკეთეს ანიჭებსო.

უფლისწულმა უპყვიცა მამას, ეგრე მოვიტყვიო. აილო ხელში ჯოხი, მხარზე გულანაბადი მოიგდო, სარკე წაიღო და გაზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქვეყანას მიაღდა. მუქთახორების ქვეყანა იყო, ერთი კაცი რომ შრომობდა, დანარჩენები მის ნაოფლარს ჭამდნენ.

უფლისწულმა უტყირა მშრომელ მარტოკაცს და შეებრაღა. გაახსენდა, მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალოდა, და გვერდში ამოუდგა. დიდხანს შრომობდა მასთან ერთად. ბოლოს კი მასაც მობოზრდა შრომა, ადგა და მარტოკაცის ნაოფლარს იმ მუქთახორებთან ერთად შეექცა. მუქთახორებს მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, პირი არ გაეჩრებინათ, დღე და ღამე ეჭამათ. ვისაც მეფე ზარმაცობას შეამჩნევდა, სასტიკად სჯიდა. სასჯელი მართლაც მკაცრი იყო — ერთი კვირის განმავლობაში სხვების ულუფაც მას უნდა შეეჭამა. მუქთახორები ყველაფერს ჭამდნენ,





რასაც მოიხელთებდნენ, სულ ერთი იყო შე-
მწვარი და შეუმწვარი, მოხარული და მოუ-
ხარშავი. პურივით შეეცეცოდნენ ერთმანე-
თის ქუდებსა და ფეხსაცმელებს, ხეებს და
ყვავილებს, ფოთლებს და სახლის მოაჯი-
რებს, პეპლებს და ჩიტებს. სად იყო სიცილი
და სიხარული, — ისიც მუქთახორებს შეეჭა-
მათ.

ერთ დღეს, როცა მუქთახორების მეფემ
უფლისწული სხვისი ცრემლის შეჭმით და-
საჯა, უფლისწულმა გულა გახსნა და სარკე
ამოიღო, ჩაიხედა სარკეში და საკუთარი თა-
ვი ვერ იცნო. ატირდა საბრალო. ტიროდა
და თვალებიდან ჩამოსული ცრემლი სარკე-
ზე იღვრებოდა. როცა ტირილით გული იჯე-
რა და ისევ სარკეში ჩაიხედა, მაშინ კი იცნო
თავისი თავი. მეორე დღესვე მარტოკაცთან
გაჩნდა და ისევ შრომა დაიწყო.

აყვირდნენ მუქთახორები: ეს რა კარგი
მუქთახორა დავკარგეთო. ადგნენ და უფ-
ლისწულთან მივიდნენ. დღიდან აქ არ
დაგინახოთ, ჩვენ ჩვენი საქმლის ჭამას
ვერ ავუდივართ, შენი საქმელი ვინ ჭამოსო,
ახლავე წამოდი, გვერდში ამოგვიდექი, თო-
რემ ყველაფერს მეფეს მოვახსენებთ, და
მეფე მაშინდელივით ცრემლებს კი არ დაგა-
ჯერებს, მთელი ქვეყნის დარღსაც შეგაჭ-
მევსო.

შენუხდა უფლისწული. თუ მიხსნის, ისევ
და ისევ ეს ჯადოსნური სარკეო, და მუქთა-
ხორებს უთხრა, წამოვალ, ოღონდ ერთი სა-
თხოვარი შემისრულეთო.

თქვი და შეგისრულებთო, გაუხარდათ
მუქთახორებს.

უფლისწულმა გუდიდან სარკე ამოიღო
და მუქთახორებს დაანახვა.

ხომ ხედავთ ამ სარკეს, შიგ ნატვრისთვა-
ლი გამენა, ვერაფრით ვერ ამოვინა. კარ-
გად დააკვირდით, ვინც იმ ნატვრისთვალს
აღმომიჩენს, დღიდან იმის ულუფასაც მე
შეეჭამო.

გაუხარდათ ჭამით დაქანცულ მუქთახო-
რებს. ყველა იმას ფიქრობდა, ვინ იცის, იქ-
ნებ ბედმა გამილიმოს, მე ვიპოვო ნატვრის-
თვალიო, და რიგრიგობით იხედებოდნენ
სარკეში. ნატვრისთვალი ვერავინ აღმოაჩი-
ნა, მაგრამ სასწაული მოხდა. ვინც კი სარკე-
ში ჩაიხედავდა, მაშინვე მუქთახორებს გამო-
ეყოფოდა, მარტოკაცთან მიირბენდა და
შრომას იწყებდა.

იმ დღიდან იმ სოფელში არც მუქთახო-
რები არიან და არც მარტოკაცი...

უფლისწული კი ახლა სხვა ქვეყანაში
მიდის. ვინ იცის, რა ამბები დატრიალდება
იქ.



მამაკაცი თმურა უხიამიძე



ეზვარ კვიტიანიშვილი

ჯღაპარი

ვინ არ იცის — ბევრი რამე მკორდება ქვეყანაზე; ეს ამბავიც, ძველისძველი, გასულ ზაფხულს მოხდა ასე: ქალაქგარეთ, ნიფლის ტყეში იყო ერთი დედა-ჩიტი, ზუთი თითო ბარტყი ყვავდა, ბარტყებს დედის სქონდათ რიდი.

თუმცა ბუდე ძლივს ყოფნიდათ, არ შესწევდათ ძალა ფრენის, და მარჩენალს სასოებით შესცქეროდნენ ზუთივენი. დილა არის. მზე ჩახჩახებს, ეს რას ზედავს აღდა-სკვინჩა, ბილიკ-ბილიკ ლისფერი მელაყუდა მოდის ყინჩად. რანამს ბუდეს გაუსწორდა, არც აცნია, არც აცხელა, აინკიბა უღვაშები,



მაგ საქციელს რა ჰქვიო, ასი წლის ვარ, დამიჯერე — შენი სარჩო თავიყო". ყვავს შელრინა მელამ:

„გიჯობს, შენთვის ევლო, ყვინჩალო, შენნაირი ვაკაცები ტურამ ნაჩინალო. შენ, ჩიტუნავ, გაინძერი, მომიჭრია ვიდრე ხეო, რაღას უცდი, გადმომიგდე, პირი უკვე დაუდგო. რა გაიხდა ერთი ბარტყი, ვერა ხედავ, რომ შპიაო, უფროსს უნდა დათანხმო მსხალზე თუ თქვა — კომპიაო“. თანყრა სკვინჩა: „მოთმინების თუ აგვიფსო, ნუნკო, თასი, სანატრული გაგიხდება იონები მწყერჩიასი. ნუ იღვსავ ჩვენზე კბილებს, ჯოხს შეცვალო დროზე პანგი, მითხარ, ხომ არ მოგნატრა — მშვილდო, თოფი ან ხანგაი.“

ჯირკზე შედგა ნუნკი მელა. სკვინჩას რინით ამოსძახა, „გამომხედე, შპია მეო, ალიონზე გამოივდი, ვერ მოვასწარ საუზმეო. ჩიტუნია, აბა, ცოცხლად, გადმომიგდე ერთი ბარტყი, დროზე, სანამ ამ ნიფლას ჩემბურად შემოვარტყი“. ჩიტმა უთხრა: „სად მომხდარა გაიმეტოს დედამ შვილი, ქვრივობაში, ობლობაში სიმწრითა მყავს გამობრდილი. არ ელოდა მელა უარს, დატრიალდა, როგორც ჯარა, გაინელა, ახტა, დახტა, პირიდან სულ ცაცხლი ყარა: „დაბადადე, მოვიტანო ან ხელეჩო ან ცულოო, მოეჭრი ამ ხეს, არ გეგონო დაღლილი, დაქანცულიო. ზუთი ნუთის გაძლევს, გაფრთხილება ეს იქნება, ჩემი, ბოლო, ჩქარა ბარტყი! — თუ არ გინდა მაგ შენს ლლაპებს მიგაყოლო“ დაპირილდა ტოტზე სკვინჩა, „ნუთუ ჩემი ბარტყის მტო, ვერაფერი ნახე ვერსად შესასანსლო, ჩასაკვნეტი“. ამ დროს ყვავდაც ჩამოსძახა, „ნუ მაციინებ, ყვა, ყვა, ყვაო, რას ბაიობბ, ეგ მუქარა არის მხოლოდ წელის ნაყვაო, გიყურებ და ვერ მივხვდარავარ,



შენ ვეიტყობა არ გცოდნია, როგორ გვიცავს ბიჭი-გელა, თუ მოგისწრო, უკან დაგჩრქვს კოჯორი და ტაბანმელა“. ერთი იყო ამის თქმა და ჩვენი გელას გამოჩინა; ჩიტებს ისე გაუხარდათ, ვერ აგინერთ კაცის ენა. დაიჩოვა მონადირემ, ისარს ტყორცნის ზედზედა, და მელია უნამუსო კუდით იმ ჯირკს მიაჭედა. მიიბრინა, ყუთში ჩასვა აბეზარი, მეტჭიარა, გაუყუნა ქალაქისკენ და ზოობარს ჩააბარა. თქვენც ნახადით გაიძერას, დაულოა სიმწრით ლაში, უდგას ჯამი, და ტყის ნაცვლად დაცუნცულვებს გალიაში.

ოქროყანის აღმართისკენ ისევ მიდის ბიჭი-გელა, მხარზე ვალუკიბია მშვილდ-ისარი, მაჭაქელა. ავირდება ხეებს, ბურჭქებს, მიიმღრეს: დელი-დელა... მისი შიშით მუნავიდან ვერ გამოიღის ტურა-მელა. ზიმი აქუთ ტყეში ჩიტებს, არსად — ჩხობი, დაკა-დაკა: ხარობს სკვინჩა, შაშვი, ლაფო, ბოლოცეცხლა თუ ჭინჭარაქა, ჭიკჭიკეზე, დასაბანია: შირი — იქა, ლხინი — აქა.

საბავშვო

ნუგზა აბსაია

— მეშველა! — გული შეუქანდა მწარეაშლას, ოდნავ წინ გადაიხარა და კამკამა გუბეში ჩაიხედა. არ შემეცდარა: ის ერთადერთი ძლივსშესამჩნევი კვირტი, ამ რამდენიმე დღის წინ რომ დააჩნდა ზედ კენწეროსთან, გამსკდარიყო, იქიდან პანია ქათქათა ფურცლები ამოფეთქებულიყვნენ და მზეს უღიმოდნენ.

— ესეც ასე! მეც ხომ გავერიე ნაყოფიერი ხეების მარაქაში! — სიხარულით ცას ეწია მწარეაშლა, კენწერო შერხია და ამაყად მიიხედ-მოიხედა.

ორღობეში ხეხილი ყვაოდა. ლამაზ-ლამაზი სამოსი ჩაეცვათ ალუბალს, ატამს, ჭერამს, მსხალს. მზის სხივების ჩქერი და მდელიოს გამაბრუებელი სურნელით გაჟღერებული ნიაივი თავს ევლებოდა მათ.

მწარეაშლა ზედ ორლობის პირას, ტრიფოლიატის ღობის კუთხეში იყო ამოზრდილი. არავის დაურგავს, თვითონ აღმოცენდა ნამცეცა თესლისაგან, რომელიც,

კაცმა არ იცის, საიდან და როგორ მოხვდა აქ, ვის დაუვარდა ან რა ქარმა მოიტანა.

გარშემო ყველაფერი ისეთი ლამაზი იყო, მწარეაშლას ერთადერთი თოვლისფერი ყვავილი არავის შეუნიშნავს.

გული ეტკინა ხეს. ე-ეჰ! — ო, ამოიხორა ჩუმად.

შემოდგომის პირზე იმ პირველი ყვავილისაგან გამოოსული ნაყოფი, ჯერაც მწვანე და უმნიფარი, ერთმა ონაკურმა ბიჭუნამ მოწყვიტა, გაკბიჩა, დაიღმიჭა და შორს მოისროლა:

— ფუჰ! რა საზიზრობაა! მწარეაშლას გული ჩასწყდა და მწარედ ატირდა.

არც მომდევნო გაზაფხულზე აღფრთოვანებული ვინმე მისი სილამაზით. ისევ დასცივიდა მწარე ცრემლ-

ბი წეს და კიდევ უფრო გაუმწარდა ნაყოფი.

გავიდა წლები.

ერთხელ იმ სოფელში დიდი ქალაქიდან დედა-შვილი ჩამოვიდა. გაზაფხული იდგა, ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა. თუთრ კაბაში გამოკვანწული გოგონა თამამად და მხიარულად მობაკუნობდა ორღობეში, გვერდით დედა მოჰყვებოდა.

უცებ გოგონა შედგა და შოკებით მიაჩერდა ტრიფოლიატის მწვანე ღობეში თეთრად ანთებულ, სპეტაკი ყვავილებით გადაპენტილ მწარეაშლას.

— დედი! შეხედე, დედი,



ხიზოთ პარნდა სიხარსყადა

თაშილა ელაშვილი

შატავი ნანა ზურაბულია

იყო და არა იყო რა. იყო შვიდი და. ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც წყლის წვეთები. ვერ გავარჩევდით ერთმანეთისგან, როცა ცოტა წამოიზარდნენ, მიხვდნენ, რომ საჭირო იყო რაღაცით ერთმანეთისაგან განსხვავებულნი ყოფილიყვნენ. ამიტომაც სხვადასხვა ფერის კაბების ტარება დაიწყეს. ერთს ლურჯი კაბა ეცვა, მეორეს — ცისფერი, მესამეს — იისფერი, მეოთხეს — ნიჟიერი, მეხუთეს — ყვითელი, მეექვსეს — ნარინჯისფერი და მეშვიდეს — მწვანე.

გოგონები ძალიან კეთილები იყვნენ. არასოდეს არავისთვის უწყინებიათ, ყველას ეხმარებოდნენ, ყველას ახარებდნენ. ამიტომ სოფელსაც უყვარდა ისინი.

გოგონები ყოველდღე ერთ მდელზე თამაშობდნენ. როგორც კი ამოვიდოდა მზე, მაშინვე იმ მდელსკენ გაიხედავდა, გამოჩნდნენ თუ არა ბავშვებიო — ძალიან უყვარდა მათი ცქერა.

ერთხელ გოგონები მდელზე არ გამოჩნდნენ. სულ პანია ავად გამხდარიყო. მოიწყინა მზემ. მეორე დღეს, როცა შვიდივე გოგონა კვლავ გამოვიდა სათამაშოდ, მზემ სთხოვა მათ, თითოეულმა რაიმე მაჩუქეთ სახსოვრად, როცა ვერ დაგინახავთ, თქვენს სახსოვარს დაეხედავ, რომ გავხალისდეთ. ბევრი იფიქრეს გოგონებმა იმ დამეს. ბოლოს ყველამ სარტყელი მოიხსნა, ერთმანეთზე მიაკერეს და ერთი განიერი სარტყელი შეკერეს.

მეორე დღით, როცა მზე ამოვიდა, გოგონებს უკვე მზად ჰქონდათ სარტყარი. მზეს ძალიან მოეწონა სახსოვარი და დიდი მადლობა უთხრა გოგონებს.

...როცა წვიმს და გოგონები სათამაშოდ არ გამოდიან, მზე მოიწყინს ხოლმე და თავი ასტკივდება, მაშინ იმ სარტყელს იხვევს შუბლზე და ცაზე ულამაზესი ცისარტყელა გამოჩნდება — შვიდი გოგონას შვიდი სახსოვარი.



დიდი ხნის წინათ იყო თურმე ერთი პატარა სოფელი, სადაც კეთილი ადამიანები ცხოვრობდნენ. სოფელში საოცარი ბალი ჰქონდათ, იქ ვარსკვლავები ყვაოდნენ ყვავილებივით. საღამოობით კეთილი ადამიანები ბაღში სეირნობდნენ და ტყებოდნენ ვარსკვლავ-ყვავილების სილამაზით.

ერთხელ სოფელში უცხო კაცი მოვიდა და თავშესაფარი ითხოვა. კეთილმა ადამიანებმა მიიღეს და საკუთარი კუთხეც მიუჩინეს, მაგრამ ეს კაცი ბოროტი იყო, სოფელ-სოფელ დადიოდა და ყველგან ბოროტებას თესავდა. ერთხელ გადანყვითა, ვარსკვლავ-ყვავილები დაეკრივა

რ ა ს თ ე მ
ა რ ი ა ნ
ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი
ც ა შ ი



და შორეულ სოფელში გაეყიდა. ჰოდა, ერთ ღამეს, როცა პატარა სოფელს ეძინა, ბოროტმა კაცმა დაკრივა ვარსკვლავები, დიდ კალათაში ჩაალაგა და სახლში გადამალა. შემდეგ თავლაში შეიპარა და ცხენი შეკაზმა, რომ კეთილი ადამიანების გაღვიძებამდე გაქცეულიყო, მაგრამ როცა შინ შებრუნდა, კალათა ცარიელი დახვდა... უცხრად სარკმლიდან ნაზი სინათლის სხივი შემოიჭრა. გაკვირვებულმა ბოროტმა კაცმა თვალი გააყოლა ზევიდან მომავალ სინათლეს და შოი, საოცრებაც! რა დინახა! ვარსკვლავები შორეულ ცას ჩაეკრა გულში. მას შემდეგ დასციმციმებენ ვარსკვლავები დედამიწას.

მხატვარი სოფიო ქინწუაშვილი

ქდაპე ნახატი თემურ ფეციძისა

რედაქტორის მკვიერ ზურაბ ლეჟავაშვილი

სარედაქციო კოლეგია: მუსაბეგ აბოჯაძე, ილია ანთონავა, კაპური გოგიაშვილი, სერგო მონღე და პარსანაშვილი, ლეილა შარაძე, მანანა კოხანიძე, ვილა ლოსაბერიძე, მამკალა მგებელიანი, ჯურაბ ნაღრაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნაბაძე, მანანა ხაჩიძე, ვიკი ვიხინძაძე

ტექნიკური რედაქტორი: ენლი წერეთელი

შესაბამისი რედაქციის გამოცემების: საბჭოს — თბილისი, ლენინის, 14; ვლ. შარ. რედაქციის — 83-4-30, 93-98-15; 3/ბ; ზევიის — 93-41-30, 93-98-18; საბ. რედაქციის — 93-98-18; აბოჯა. 93-10-32, 93-98-19; 93-98-18.

გაზეთი დასწავთბა 8/VI-82 წ., სტომოწერილობის მხატვრებმა 12/VI-82 წ., კლდის ზომა: 6x9 (X) ფ. შ. ნაბ. ფურც. შ.ბ. ტირაჟი 168.500. შეჯ. № 1479. „Диапа“ № 8, журнал для младшеклассников, на грузинском языке. Главный редактор Э. Нишкарадзе. Тбилиси, ул. Ленина, 14, цена 20 ლ.

საბარტოვლოს
ალკა ცა-ნია
და ვ. ი. ლენინის
სახელობის
კომუნისტა
ობანნიშაძის
კისკუბაძის
საბჭოს
შტაბში
შეცდომის
საშტაბში

გაიოცების
ბატი წელი

საქ. კ. ცი-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

